გონებრივი იერიში (Brain storming) მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა.
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.

- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

როლური და სიტუაციური თამაშები სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორცაა, მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორცაა მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარება.

ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

ვერისტიკული მეთოდი ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

ლაბორატორიული მეცადინეობა უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას. სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.
- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.
- მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას ლექტორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.

სამაგისტრო ნაშრომი მაგისტრატურის საფეხურის დამამთავრებელი ეტაპია და მისი მიზანია სპეციალობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და კონკრეტული სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური თუ პროფესიული ამოცანების დასაბუთებული გადაწყვეტა. ნაშრომმა უნდა გამოავლინოს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის მეთოდებისა და

ექსპერიმენტების დაუფლების დონე და მომავალი პროფესიული საქმიანობის პირობებში სტუდენტის მზადყოფნა დამოუკიდებელი მუშაობისთვის. კონსულტაცია - სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან სტუდენტის მიერ გამოყენებული საკონტაქტო დრო, როდესაც სტუდენტი იღებს ინფორმაციას შესასრულებელი ნაშრომის ფარგლებში გეგმის შედგენის, ემპირიული მასალის მოძიების, დამუშავების, ნაშრომის შინაარსობრივი ნაწილის დასკვნების გამოტანის, ნაშრომის ტექნიკური გაფორმების, მისი საპრეზენტაციოდ მომზადების საკითხებში.

შეფასების სისტემა

სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, სპეციფიკის, აგრეთვე მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გათვალისწინებით, დაადგინოს შეფასებისაგან განსხვავებული მინიმალური დადებითი შეფასება, რომელიც არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი.

FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებებით კომპეტენციის ზღვარის დამლევა (შუალედური შეფასებით არანაკლებ 11 ქულის დაგროვება).

დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30%-ს - არანაკლებ 12 ქულას.

კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100-დან არანაკლებ 51 ქულის დაგროვება და შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.

შეფასების კომპონენტი

სტუდენტის შეფასება პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში მოიცავს შეფასების ორ ფორმას - შუალედურ შეფასებასა და დასკვნით შეფასებას.

შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რომელიც გაწერილია შესაბამისი პროგრამის სილაბუსებში და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის სემესტრის დასაწყისში, სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში - emis.seu.edu.ge.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში, სტუდენტის საბოლოო შეფასების განსაზღვრისათვის, შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა), შუალედური შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით შეფასებას - 40 ქულა. შუალედურ და დასკვნით შეფასებას დადგენილი აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც დგინდება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსით. გამონაკლისი დგინდება კონკრეტული პროგრამის/სასწავლო კომპონენტის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის ინტერნაციონალიზაცია

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ ინტერნაციონალიზაციის კუთხით აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო პროექტებში ევროპის და ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა უნივერსიტეტებთან. თანამშრომლობა გულისხმობს ერთობლივ საპარტნიორო პროექტებში ჩართულობას, ერთობლივ კვლევებსა და საგრანტო განაცხადებას, გაცვლით პროგრამებს, ორმაგი დიპლომის პროგრამების შემუშავებას და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას.

სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა ამჟამად აქტიურ ფაზაშია და უნივერსიტეტის სტუდენტები ამ ეტაპზე გაცვლითი პროგრამით იმყოფებიან ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში.

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა ინტერნაციონალიზაციის კუთხით სტუდენტებს სთავაზობს ორმაგი დიპლომის პროგრამებსა და გაცვლით პროგრამებში ჩართულობას.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ საბანკო საქმის პროგრამის მიმართულებით თანამშრომლობს შემდეგ უნივერსიტეტებთან:

- Polytechnic Institute of Bragança
- University of Turiba
- Tor Vergata University of Rome
- UC Berkeley
- EU Business School
- University of A Coruña
- Universitat Jaume I
- WSB University
- Romanian American University

აღსანიშნავია, რომ საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის მიმართულებით სეუ-ს სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები ორმაგი დიპლომის პროგრამებში, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტი იღებს, როგორც საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს, ასევე პარტნიორი უნივერსიტეტის დიპლომს. ორმაგი დიპლომის პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი, საერთაშორისო მობილობის დროს დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი და გაიაროს პრაქტიკა.

პარტნიორი პრაქტიკის ობიექტები

- სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ;
- სს ფინკა ბანკი საქართველო;
- შპს ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ლენდაფ";
- შპს იზი კრედიტი;
- ედვანსდ აუდიტ ენდ ქონსალთინგ კომპანია;
- სს კრედო ბანკი;
- შპს მოორ ეიბისი.

დასაქმების სფერო

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს, როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში (საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სხვ.), ასევე, კომერციულ ბანკებში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში და საერთაშორისო და ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციებში, საფინანსო, სამეწარმეო და კონსალტინგურ ფირმებში, დაიკავოს მმართველობითი რგოლის მენეჯერის პოზიციები და განახორციელოს მმართველობითი, საფინანსო, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, ანალიტიკური, სამეცნიერო კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურაში), საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების დაცვით.

პროგრამის რესურსები

მატერიალური რესურსი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სეუ-ს გააჩნია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო, თანამედროვე აკადემიური სტანდარტებით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა, კეთილმოწყობილი აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, საბანკო ლაბორატორია და პარტნიორი ორგანიზაციების ბაზა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

საბანკო ტექნოლოგიების ლაბორატორიის მიზანია საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, სტუდენტებისათვის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების უზრუნველყოფა, სტუდენტთა სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში ჩართვა, პროფილის მიმართულებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და განვითარების ხელშეწყობა. ლაბორატორიის ამოცანებია: უზრუნველყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოების სათანადო დონეზე ჩატარება; თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება; „საოპერაციო პროგრამის - Alta (Software) B6“-ის გამოყენებით, სტუდენტების მიერ საბანკო ოპერაციების წარმოების დაუფლება; სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება იმისათვის, რომ შეძლონ ბანკის კლიენტებს გაუწიონ სრულყოფილი მომსახურება.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული/ელექტრონული): თანამედროვე სახელმძღვანელოებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით. სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო ფონდები, მონაცემთა ბაზები და სხვა.

პრაქტიკის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამის ორგანიზაციებთან.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება პროგრამის ბიუჯეტით. ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და ლიტერატურის მუდმივ განახლებაზე, სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, აკადემიური/მოწვეული პერსონალის სახელფასო დანახარჯებსა და მათი ნაშრომების გამოცემა-დაბეჭდვაზე. ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის სამეცნიერო მივლინებების ხარჯები, სტუდენტთა დაფინანსება გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო ტრენინგებსა და კონფერენციებში.

პროგრამის ხარისხის მონიტორინგი

საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ხდება პროგრამის მოდიფიცირება/განვითარება.

ხარისხის განვითარების დეპარტამენტი ატარებს რეგულარულ ანალიზსა და ხარისხის გაუმჯობესების სხვა აქტივობებს, რომლებიც შედგება შემდეგი გამოკითხვებისაგან:

- ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასება სტუდენტების მიერ (სემესტრში ერთხელ);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება სტუდენტების მიერ (მიაღწიეს თუ არა პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს) (სწავლის ბოლო წელს);
- უნივერსიტეტის ინსტიტუციური შეფასება სტუდენტების მიერ (წელიწადში ერთხელ);
- სტუდენტების პრაქტიკით კმაყოფილების კვლევა (ყოველსემესტრულად, პრაქტიკის დასრულებისას);
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება სტუდენტის მიერ (სამაგისტრო ნაშრომის დასრულებისას);
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა (პროგრამის დასრულებიდან ექვსი თვის შემდეგ);
- დამსაქმებელთა პრაქტიკის სტუდენტებით კმაყოფილება და პრაქტიკის თვითშეფასება (ყოველსემესტრულად, პრაქტიკის დასრულებისას);
- დამსაქმებელთა გამოკითხვა (წელიწადში ერთხელ)
- სასწავლო კურსის თვითშეფასება (ლექტორის მიერ, სემესტრში ერთხელ);
- პროგრამის თვითშეფასება (პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, წელიწადში ერთხელ)

თითოეული გამოკითხვა გაანალიზებულია და განსაზღვრულია ტენდენციები უნივერსიტეტის მასშტაბით. ასევე, სტრუქტურული ერთეულების, ფაკულტეტების და საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე. გამოკითხვები და კვლევები საშუალებას იძლევა გაკეთდეს შედარებითი ანალიზი ფაკულტეტებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს შორის. შედარებითი ანალიზი ხორციელდება ხარისხის განვითარების დეპარტამენტის მიერ და შედეგები მიეწოდება ყველა დაინტერესებულ მხარეებს. ხარისხის განვითარების დეპარტამენტი გეგმავს ტრენინგების ორგანიზებას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართულ პერსონალთან და სტუდენტებთან, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს შესაძლებლობები ამ პროცესებში მათი აქტიური მონაწილეობისთვის.

სასწავლო გეგმა

	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS	სულ საათები	დაშვების წინაპირობა	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა						კრედიტების სემესტრული განაწილება			
					ლექცია	ჯგუფში მუშაობა ან პრაქტიკული ან	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო	დამოუკიდებელი მუშაობა	I	II	III	IV
ძირითადი სწავლების სფეროს სასწავლო კურსები														
N	სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	108		შესაბამის სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტების რაოდენობა							I	II	III	IV
											30	30	24	24
1.	მენეჯერული ეკონომიკა	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120	6			
2.	ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი	9	225	არ აქვს	13	24	2	3	42	183	9			
3.	კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი	9	225	არ აქვს	13	24	2	3	42	183	9			
4.	ფინანსური სერვისების მარკეტინგი	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120	6			
5.	ბიზნესის კვლევის მეთოდები	9	225	არ აქვს	13	24	3	3	43	182		9		
6.	საბანკო მენეჯმენტი	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120		6		

7.	ფინანსური სისტემის ზედამხედველობა და რეგულირება	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120		6		
8.	საბანკო აუდიტი	9	225	კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი	13	24	2	3	42	183		9		
9.	რისკების მართვა საფინანსო დაწესებულებებში	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120			6	
10.	ინვესტიციები და საინვესტიციო პროექტების მართვა	6	150	არ აქვს	12	13	2	3	30	120			6	
11.	სტრატეგიული მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120			6	
12.	პრაქტიკა	6	150	საბანკო მენეჯმენტი, საბანკო აუდიტი	107			3	110	40			6	
13.	სამაგისტრო ნაშრომი	24	600	სავალდებულო სასწავლო კურსები	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება ხდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესის შესაბამისად								24	
N	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	12	შესაბამის სემესტრში ასათვისებელი არჩევითი კრედიტების რაოდენობა								I	II	III	IV
													6	6
1.	საფინანსო სამართალი	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120				
2.	ფინანსური ინსტიტუტები და საბანკო საქმე	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120				
3.	მრავალგანზომილებიანი სტატისტიკური ანალიზი SPSS გამოყენებით	6	150	არ აქვს	13	24	2	3	42	108				
4.	ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიები	6	150	ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი	13	12	2	3	30	120				
5.	სადაზღვევო სისტემა და რეგულირება	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120				

6.	საერთაშორისო ფინანსები	6	150	არ აქვს	12	13	2	3	30	120				
7.	ფინანსური ანგარიშგება ბანკებში	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120				
8.	სამეცნიერო წერა	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120				
9.	Agile მეთოდოლოგია და ტექნოლოგიები	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120				
10.	ინფორმაციული უსაფრთხოება	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120				
11.	რესურსების დაგეგმვა ERP მოდელები	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120				
	სულ	120									30	30	30	30

ადამიანური რესურსი

N	სავალდებულო სასწავლო კურსები	კურსის განმახორციელებელი	სტატუსი
1.	მენეჯერული ეკონომიკა	ნინელი თევდორაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		ნათია გელაშვილი	მოწვეული ლექტორი
2.	ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი	ლია ელიავა	პროფესორი
		ნინო სამჭკუაშვილი	ასოცირებული პროფესორი
3.	კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი	ნელი სესაძე	ასოცირებული პროფესორი
		მურად ნარსია	პროფესორი
4.	ფინანსური სერვისების მარკეტინგი	რუსუდან ბერიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		ანი ბიბილური	მოწვეული ლექტორი
5.	ბიზნესის კვლევის მეთოდები	გიორგი მამნიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		ვალერი მოსიაშვილი	პროფესორი
6.	საბანკო მენეჯმენტი	ანა ტატიშვილი	ასისტენტ-პროფესორი
		ვალერი მოსიაშვილი	პროფესორი
7.	ფინანსური სისტემის ზედამხედველობა და რეგულირება	ლია ელიავა	პროფესორი
		მედეა ჭელიძე	მოწვეული ლექტორი
8.	საბანკო აუდიტი	მურად ნარსია	პროფესორი
		პაატა შურღია	ასოცირებული პროფესორი
9.	რისკების მართვა საფინანსო დაწესებულებებში	ვალერი მოსიაშვილი	პროფესორი
		ნინო სამჭკუაშვილი	ასოცირებული პროფესორი
10.	ინვესტიციები და საინვესტიციო პროექტების მართვა	ნონა ქავთარაძე	ასოცირებული პროფესორი
		ეთერ მამაცაშვილი	ასოცირებული პროფესორი
11.	სტრატეგიული მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი	დავით ჩახვაშვილი	პროფესორი
		თინათინ მექმარიაშვილი	მოწვეული ლექტორი
12.	სამაგისტრო ნაშრომი	მურად ნარსია	პროფესორი
		ლია ელიავა	პროფესორი
		ვალერი მოსიაშვილი	პროფესორი

		ნინო სამჭკუაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		ნელი სესაძე	ასოცირებული პროფესორი
		ნონა ქავთარაძე	ასოცირებული პროფესორი
		ლია პიტიურიშვილი	ასისტენტ-პროფესორი
		ანი ბიბილური	მოწვეული ლექტორი
		მზევინარ ნოზაძე	მოწვეული ლექტორი
		მედეა ჭელიძე	მოწვეული ლექტორი
N	არჩევითი სასწავლო კურსები	კურსის განმარტებელი	სტატუსი
13.	საფინანსო სამართალი	ალექსანდრე ტვილიდიანი	მოწვეული ლექტორი
14.	ფინანსური ინსტიტუტები და საბანკო საქმე	ვალერი მოსიაშვილი	პროფესორი
		ეთერ მამაცაშვილი	ასოცირებული პროფესორი
15.	მრავალგანზომილებიანი სტატისტიკური ანალიზი SPSS გამოყენებით	მამუკა ბენაშვილი	მოწვეული ლექტორი
16.	ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიები	ვალერი მოსიაშვილი	პროფესორი
17.	სადაზღვევო სისტემა და რეგულირება	ანი ბიბილური	მოწვეული ლექტორი
18.	საერთაშორისო ფინანსები	ნინო სამჭკუაშვილი	ასოცირებული პროფესორი
19.	ფინანსური ანგარიშგება ბანკებში	ნელი სესაძე	ასოცირებული პროფესორი
20.	სამეცნიერო წერა	თამარ კაკუტია	პროფესორი
		დავით ტაბატაძე	მოწვეული ლექტორი
21.	Agile მეთოდოლოგია და ტექნოლოგიები	თამარი გობეჯიშვილი	ასისტენტ-პროფესორი
		ნინო ხურცილავა	მოწვეული ლექტორი
		ლელა ფარქოსაძე	მოწვეული ლექტორი
22.	ინფორმაციული უსაფრთხოება	ლევანი ჯულაყიძე	მოწვეული ლექტორი
23.	რესურსების დაგეგმვა ERP მოდელები	ხატია კობერიძე	მოწვეული ლექტორი
		გიორგი ქამადაძე	მოწვეული ლექტორი

აკადემიური/მოწვეული პერსონალი

N	სახელი და გვარი	სტატუსი	აფილირება
1.	ლია ელიავა	პროფესორი	აფილირებული
2.	მურად ნარსია	პროფესორი	აფილირებული
3.	ვალერი მოსიაშვილი	პროფესორი	აფილირებული
4.	დავით ჩახვაშვილი	პროფესორი	აფილირებული
5.	თამარ კაკუტია	პროფესორი	
6.	ნინელი თევდორაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
7.	ნინო სამჭკუაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
8.	ნელი სესაძე	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
9.	რუსუდან ბერიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
10.	გიორგი მამნიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
11.	პაატა შურღია	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
12.	ნონა ქავთარაძე	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
13.	ეთერ მამაცაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
14.	ანა ტატიშვილი	ასისტენტ-პროფესორი	აფილირებული
15.	თამარი გობეჯიშვილი	ასისტენტ-პროფესორი	აფილირებული
16.	ლია პიტიურიშვილი	ასისტენტ-პროფესორი	აფილირებული
17.	ნათია გელაშვილი	მოწვეული ლექტორი	
18.	ანი ბიბილური	მოწვეული ლექტორი	
19.	მედეა ჭელიძე	მოწვეული ლექტორი	
20.	თინათინ მემმარიაშვილი	მოწვეული ლექტორი	
21.	ალექსანდრე ტვილდიანი	მოწვეული ლექტორი	

22.	მამუკა ბენაშვილი	მოწვეული ლექტორი	
23.	დავით ტაბატაძე	მოწვეული ლექტორი	
24.	ნინო ხურცილავა	მოწვეული ლექტორი	
25.	ლელა ფარქოსაძე	მოწვეული ლექტორი	
26.	ლევანი ჯულაყიძე	მოწვეული ლექტორი	
27.	ხატია კობერიძე	მოწვეული ლექტორი	
28.	გიორგი ქამადაძე	მოწვეული ლექტორი	
29.	მზევინარ ნოზაძე	მოწვეული ლექტორი	